ღამის ეკონომიკის ბაზრის კვლევა

თბილისის მერია

ტენდერის ნომერი: NAT180014874

C-team management consulting

სალომე არღვლიანი

ზესიკის ქ N 4

0108, თბილისი

თბილისი, 2018

სარჩევი

1. პროექტის მოკლე შინაარსი 3
2. პროექტის მიზანი 4
3. პროექტის შედეგები 5
4. მეთოდოლოგია 6
1. ბაზრის კვლევა 6
   1.1. ადგილობრივი დაწესებულებების კვლევა 6
   1.2. არსებული ადგილობრივი რეგუცალიებისა და კანონმდებლობის ანალიზი 8
   1.3. მიზნობრივი ჯგუფის კვლევა 8
   1.4. საზოგადოებრივი აზრის კვლევა 9
   1.5. საერთაშორისო ბაზარზე არსებული „წარმატებული მაგალითების“ კველვა და ანალიზი 9
2. თბილისის ღამის ეკონომიკის სტრატეგიის შემუშავება 11
   2.1. ბაზრის პოტენციალის ანალიზი 11
   2.2. პოტენციური მომსახურების თბილისის ბაზარზე მორგების სტრატეგიის შემუშავება 11
3. თბილისის ღამის ეკონომიკის პროექტის სამოქმედო გეგმა 13
   4. კომპანიის მოკლე აღწერა და პროექტის ჯგუფი 14
5. პროექტის გეგმა 18
   6. პროექტის ბიუჯეტი 19

1. პროექტის მოკლე შინაარსი

თბილისის ღამის ეკონომიკის ხელშეწყობისა და განვითარებისა მიზნით, თბილისის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, ამჟამინდელ მდგომარეობასთან დაკავშირებულ წინა დიაგნოსტიკის საფუძველზე მოკლე ვადებში განსაზღვროს კვლევებზე დაფუძნებული გრძელვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

აღნიშნულის ფარგლებში, თბილისის მერიამ გამოაცხადა ტენდერი „ღამის ეკონომიკის ბაზრის კვლევის“ შესახებ.

„ღამის ეკონომიკა გულისხმობს ნებისმიერ ეკონომიკურ აქტივობას, რომელიც 20:00 საათიდან იწყება და დილის 8:00 საათამდე გრძელდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სექტორების როლი, როგორებიცაა გართობა, დასვენება და კულტურული ღონისძიებები. ტრანსპორტი, ხმაურის რეგულირება, უბნების რეგენერაცია და უსაფრთოხება, რომელიც ღამის ეკონომიკის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენს. არსებული ტერმინი აქტიურად გამოიყენება საერთაშორისო მასშტაბით, როგორც ბრენდინგის ელემენტი ისეთ ქალაქებში, როგორებიცაა ლონდონი, ნიუ იორკი, მადრიდი, სიდნეი და სხვა. ღამის ეკონომიკას მნიშნველოვანი წვლილი შეაქვს ტურიზმის ზრდაში და დღის მანძილზე მიმდინარე სხვადასხვა ეკონომიკურ აქტივობასთან მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული.“

C-team management consulting-ს, როგორც ინოვაციურ საკონსულტაციო კომპანის, რომლის დამფუძნებლებსა და თანამშრომლებს მრავალწლიანი საერთაშორისო სამუშაო გამოცდილება გააჩნიათ, განხორციელებული აქვთ მრავალი ბაზრის კვლევა და შემუშავებული აქვთ მარკეტინგული სტრატეგიები სხვადასხვა სფეროში მოქმედი ორგანიზაციებისათვის.

C-team management consulting-ი წინამდებარე ტენდერში მონაწილეობით გამოხატავს სურვილსა და მზობას ითანამშრომლოს თბილისის მერიასთან, გამოიყენოს კომპანიის რესურსი და ასევე მოიწვიოს დამატებით საერთაშორისო ექსპერტები, ღამის ეკონომიკის ბაზრის კვლევისა და ანალიზის განხორციელების მიზნით. რომლის საფუძველზეც თბილისის მერიასთან შეთანხმებით მოხდება გრძელვადიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

იმედი გვაქვს თქვენთან ხანგრძლივი და წარმატებული თანამშრომლობის!

პატივისცემით,

C team
Management Consulting

სალომე არღვლიანი
ხელმძღვანელი

2. პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია თბილისის ღამის ეკონომიკის პოტენციალის, შესაძლებლობისა და პერსპექტივების ათვისება. დედაქალაქში ღამის ეკონომიკის გაუმჯობესება საშუალებას იძლევა, განვითრდეს ტურიზმი, გაიზაროდს სამუშაო ადგილების რაოდენობა და გაუმჯობესდეს ინფრასტრუქტურა. მნიშვნელოვანია თბილისში ტურისიტებს მიეწოდოს სერვისები, რომელიც გაზრდის მათი ვიზიტის ხანგრძლივობას დედაქალაქში, რაც პირდაპირპროპორციული იქნება მათ მიერ გაწეული ხარჯის. აღნიშნული პროექტი პრიორიტეტულია ღამის კლუბების, რესტორნებისა და სასტუმროების სფეროს გაუმჯობესების თვალსაზრისითაც. ის ასევე ითვალისწინებს თბილისის გარეუბნებში მდებარე მიტოვებული ინფრასტრუქტურული ნაგებობების, ბრაუნფილდების მაქსიმალურად ათვისებასა და ქალაქის ურბანულ განვითარებას. პროექტი ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ღამის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და ამ კუთხით საზოგადოების ჩართულობისა და აქტიურობის ზრდას.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, პროექტის ამოცანებად შეიძლება განისაზღვროს შემდეგი:

- თბილისის ღამის ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით კვლევის ჩატარება
- კვლევის ანალიზი
- ღამის ეკონომიკის სტრატეგიის შემუშავება
- სტრატეგიის განვითარების გეგმის შედგენა

3. პროექტის შედეგები

ღამის ეკონომიკის პროექტის მოსალოდნელ შედეგს წარმოადგენს:

- ღამის ეკომონიკის ჩარჩოებში მოქმედი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესერთეულების რაოდენობის ზრდა;
- ტურისტების ნაკადის და მათ მიერ დედაქალაქში გატარებული დღეების რაოდენობის ზრდა;
- თბილისის, როგორც ტურისტული მიმართულების ქალაქის ცნობადობის ზრდა და ამ კუთხით მისი პოზიციონირება საერთაშორისო ბაზარზე;
- ახალი და უნიკალური სპორტული და კულტურული დანიშნულების ობიექტებისა და ღონისძიებების ზრდა, განსაკუთრებით პერიფერიულ უბნებში;
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ბრაუნფილდების ათვისება;
- მოქალაქეების შემოსავლიანობის ზრდა;
- კანონმდებლობის, ლიცენზირების და რეგულაციების გაუმჯობესება.

წინამდებარე ტენდერის „ღამის ეკონომიკის ბაზრის კვლევა“ ფარგლებში პროექტის მოსალოდნელ შედეგებს წარმოადგენს:

1. **ბაზრის კვლევა**
   1.1. თბილისში ღამით მომუშავე დაწესებულებების კვლევა მათი საქმიანობის, სექტორების, რაიონებისა, ლოკაციების, სამუშაო საათების, დასაქმებისა და ანაზღაურების ჩარჩოს მიხედვით;
   1.2. ადგილობრივი რეგულაციების / კანონების / ლიცენზიების კვლევა და მათი, ღამით მომუშავე დაწესებულების საქმიანობასა და განვითარებაზე ზემოქმედების ანალიზი;
   1.3. მიზნობრივი ჯგუფის კვლევა: ადგილობრივი მოსახლეობა და ტურისტები;
   1.4. საზოგადოებრივი აზრის კვლევა;
   1.5. საერთაშორისო „წარმატებული მაგალითების“ კვლევა და ანალიზი, მომსახურების პოტენციალის დადგენის მიზნით (GAP ანალიზი).
2. **თბილისის ღამის ეკონომიკის სტრატეგიის შემუშავება;**
3. **თბილისის ღამის ეკონომიკის პროექტის სამოქმედო სამოქმედო გეგმის შემუშავება.**

აღნიშნული შედეგების ფარგლებში, C-team management consulting-ი, გამოყოფს ხუთ ლოკალურ და მოიძიებს 2 საერთაშორისო ექსპერტს.

კვლევისა და სტრატეგიის შემუშავების პერიოდში, C-team management consulting-ი აქტიურად ითანამშრომლებს თბილისის მერიასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, განახორციელებს მათთან სხვადასხვა სახის სამუშაო შეხვედრებს მათი აზრის, შეხედულებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

4. მეთოდოლოგია

წინაბდებარე ტენდერით დასახული ზინისა და შედეგების მისაღწევად, C-team management consulting-მა შეიმუშავა ბაზრის კვლევისა და სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია რომელიც იყოფა სამ ნაწილად:

1 ბაზრის კვლევა	2 სტრატეგია	3 სამოქმედო გეგმა
1.1 ადგილობრივი დაწესებულებების კვლევა; 1.2. ადგილობრივი რეგულაციების / კანონის / ლიცენზიების კვლევა და ანალიზი; 1.3. მიზნობრივი ჯგუფის კვლევა; 1.4. საზოგადოებრივი აზრის კვლევა; 1.5. საერთაშორისო „საუკეთესო მაგალითის“ ანალიზი.	2.1 ბაზრის პოტენციალის ანალიზი 2.2. პოტენციური მომსახურების თბილისის ბაზარზე მორგების სტრატეგიის შემუშავება	3.1. სტრატეგიული პერსპექტივების დასახვა 3.2. პერსპექტივების ჩაშლა კონკრეტულ მიზნებად 3.3. მიზნების მისაღწევად მინიმ. 50 ნაბიჯის შემუშავება 3.4. კონკრეტული ინდიკატორების შემუშავება

1. <u>ბაზრის კვლევა</u>

1.1. ადგილობრივი დაწესებულებების კვლევა

კვლევის მიზანს წარმოადგენს ქალაქ თბილისში ღამით მომუშავე დაწესებულებების შემდეგი მომსახურება და საქმიანობის შესწავლა:

- საკვებით და სასმელით მომსახურება,
- საცალო ვაჭრობა,
- საფინანსო მომსახურების საქმიანობა,
- შემოქმედებითი, სახელოვნებო და გართობის საქმიანობები,
- ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმების და სხვა კულტურული დაწესებულებების საქმიანობები,
- აზარტული თამაშების საქმიანობები,
- საქმიანობები სპორტის, გართობის და დასვენების სფეროში
- ტურისტული სააგენტოები, ტურ-ოპერატორები და სხვა დაჯავშნის მომსახურება და მათთან დაკავშირებული საქმიანობება

კვლევა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმი	აღწერა
1. **რაიონი**	1.1. როგორ არიან გადანაწილებული / დატვირთული თბილისის რაიონები მსგავსი მომსახურებების მიხედვით?

	1.2. რომელი რაიონი / რაიონები არის / არიან ძირითადად დატვირთული? 1.3. რა დამახასიათებელი ნიშან-თვისებები გააჩნიათ პასიურ და აქტიურ რაიონებს? 1.4. მოსახლეობის რა კატეგორია არის პასიურ და აქტიურ რაიონებში (ასაკის, შემოსავლის, სქესის მიხედვით)
2. სექტორი	2.1. ღამით მომუშავე რა სექტორის მომსახურებები არსებობს თბილისში? 2.2. შეიძლება თუ არა მათი დაჯგუფება? რამდენად არიან ერთმანეთზე დამოკიდებული?
3. ლოკაცია	3.1. რა ლოკაციები აქვთ დაკავებული ღამით მომუშავე დაწესებულებებს? 3.2. როგორ არის რაიონი დატვირთული ლოკაციურად? 3.3. არის თუ არა ლოკაციები მსგავსი სექტორით დატვირთული თუ დივერსიფიცირებულია მომსახურება? 3.4. იკვეთება თუ არა კონკრეტული სტრატეგია ლოკაციის შერჩევისას?
4. რაოდენობა	4.1. რა რაოდენობის ღამის მომსახურე დაწესებულებებია თბილისში ჯამურად? 4.2. რა რაოდენობის მომსახურებებია სექტორის მიხედვით? 4.3. რა რაოდენობის მომსახურებებია საქმიანობის მიხედვით?
5. სამუშაო საათები	5.1. რა სამუშაო საათებია ღამის მომსახურე დაწესებულებებში? 5.2. სამუშაო საათების დაჯგუფება მომსახურებების მიხედვით (მაგ. 11 საათამდე კვება, დილის 3 საათამდე ცოცხალი მუსიკა, დილის 5 საათამდე კლუბური მუსიკა (აუდიო))
6. სამუშაო ადგილების რაოდენობა	6.1. რა რაოდენობის დასაქმებულია ღამით მომუშავე დაწესებულებებში ჯამურად? 6.2. რა რაოდენობის დასაქმებულია ღამით მომუშავე დაწესებულებებში სექტორის მიხედვით? 6.3. რა რაოდენობის დასაქმებულია ღამით მომუშავე დაწესებულებებში საქმიანობის მიხედვით? 6.4. რა რაოდენობის დასაქმებულია ღამით მომუშავე დაწესებულებებში თბილისის რაიონების მიხედვით?
7. საშუალო შემოსავალი	7.1. საშუალო შემოსავალი ღამით მომუშავე დაწესებულებებში ჯამურად? 7.2. საშუალო შემოსავალი ღამით მომუშავე დაწესებულებებში სექტორის მიხედვით? 7.3. საშუალო შემოსავალი ღამით მომუშავე დაწესებულებებში საქმიანობის მიხედვით?

1.2. არსებული ადგილობრივი რეგუცალიებისა და კანონმდებლობის ანალიზი

საქართველოში არსებული კანონმდებლობისა და რეგულაციების შესწავლის მიზანია მათი ზეგავლენის დადგენა ღამით მომუშავე დაწესებულებების საქმიანობასა და მათ განვითარებაზე შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კანონმდებლობა / რეგულაცია	აღწერა
1. **ალკოჰოლის მოხმარება-გაყიდვასთან დაკავშირებული ლიცენზიები, კანონები და რეგულაციები**	1.1. რა სახის ღამით მომუშავე დაწესებულებებზე არსებობს ალკოჰოლის მოხმარება-გაყიდვასთან დაკავშირებული რეგულაცია/ ლიცენზია, კანონები? 1.2. რა მოთხოვნა / შეზღუდვა / დაშვება აქვთ მსგავთ რეგულაციებს/ კანონებს/ ლიცენზიებს? 1.3. რა დადებითი და უარყოფითი გავლენა აქვს მსგავთ რეგულაციებს/ კანონებს/ ლიცენზიებს ღამით მომუშავე დაწესებულებების ოპერირებაზე? 1.4. რა დადებითი და უარყოფითი გავლენა აქვს მსგავთ რეგულაციებს/ კანონებს/ ლიცენზიებს ღამით მომუშავე დაწესებულებების მომხმარებლებზე?
2. **აკუსტიკური დანაგვიანებასთან დაკავშირებული ლიცენზიები, კანონები და რეგულაციები**	2.1. რა სახის ღამით მომუშავე დაწესებულებებზე არსებობს აკუსტიკურ დანაგვიანებასთან დაკავშირებული რეგულაცია/ ლიცენზია, კანონები? 2.2. რა მოთხოვნა / შეზღუდვა / დაშვება აქვთ მსგავთ რეგულაციებს/ კანონებს/ ლიცენზიებს? 2.3. რა დადებითი და უარყოფითი გავლენა აქვს მსგავთ რეგულაციებს/ კანონებს/ ლიცენზიებს ღამით მომუშავე დაწესებულებების ოპერირებაზე? 2.4. რა დადებითი და უარყოფითი გავლენა აქვს მსგავთ რეგულაციებს/ კანონებს/ ლიცენზიებს ღამით მომუშავე დაწესებულებების მომხმარებლებზე? 2.5. აკუსტიკური დანაგვიანებასთან დაკავშირებული საჩივრები ბოლო ერთი წლის მანძილზე (როგორც შსს მონაცემებით ასევე ქალაქ თბილისი მერია)
3. **სხვა**	3.1. არსებობს თუ არა სხვა კანონი / რეგულაცია / ლიცენზია რომელსაც მნიშნელოვანი გავლენა აქვს ღამით მომუშავე დაწესებულებებზე (თამბაქო, ნარკოტიკული საშუალებები და სხვ.)

1.3. მიზნობრივი ჯგუფის კვლევა

კვლევის მიზანია დაადგინოს ღამით მოქმედი დაწესებულებების არსებული და პოტენციური მომხმარებლები და მოახდინოს მათი ანალიზი შემდეგი მიზნობრივი ჯგუფებისა და კრიტერიუმების მიხედვით:

მიზნობრივი ჯგუფი	კრიტერიუმი
1. ადგილობრივი მოსახლეობა (თბილისი)	➢ ჯამური რაოდენობა ➢ ასაკი ➢ სქესი ➢ შემოსავალი ➢ ოჯახური მდგომარეობა ➢ ლოკაცია (საცხოვრებელი) ➢ მიწის ღირებულება ➢ იჯარის საშუალო ფასი
2. ტურისტი	➢ ვიზიტორების რაოდენობა 2015 -2018 წლები ➢ ვიზიტორების მიერ გაწეული საშუალო ხარჯი 2015-2018 წლებში ➢ ვიზიტის ხანგრძლივობა 2015-2018 წლებში

1.4. საზოგადოებრივი აზრის კვლევა

ღამის ეკონომიკასთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულების კვლევის მიზნით მოხდება საველე კვლევა თბილისში შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმი	აღწერა
1. მიზნობრივი ჯგუფი:	➢ თბილისის მოსახლეობა ჯამურად (მინიმუმ 1000) ➢ რაიონების მიხედვით (მინიმუმ 10 რაიონი) ➢ ასაკობრივი ჯგუფები (+ 18)
2. კვლევის მეთოდი:	➢ პირდაპირი გამოკითხვა
3. კვლევის სფერო:	➢ მოსახლეობის დამოკიდებულების იდენტიფიცირება ღამის ეკონომიკის პროექტის მიმართ ➢ მოსახლეობის მიერ ღამის საათებში არსებული კულტურული და სპორტული ღონისძიებების შეფასება. ➢ მოსახლეობის მიერ უსაფრთხოების შეფასება ღამის საათებში ➢ მოსახლეობის შეფასება ხმაურთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში. ➢ მოსახლეობის ქცევის შესწავლა ღამის საათებში ➢ მოსახლეობის აქტივობები და მათი სიხშირე ღამის საათებში კვირის დღეების მიხედვით ➢ მოსახლეობის მიერ, ღამის საათებში მოქმედი ტრანსპორტის შეფასება. ➢ **მოსახლეობის მიერ, თბილისში ღამის საათებში ჯერ არასრებული მომსახურების (იდენტიფიცირებული GAP ანალიზის შედეგად) შეფასება**

1.5. საერთაშორისო ბაზარზე არსებული „წარმატებული მაგალითების“ კველვა და ანალიზი

კვლევის მიზანია მოიძიოს საერთაშორისო ბაზარზე, ღამის ეკონომიკის განმახორციელებელი ქალაქების „წარმატებული მაგალითი“, მოახდინოს აღნიშნული ქალაქების ანალიზი, შეისწავლოს მოსახურებების ნაირსახეობები და განახორციელოს მათი შედარება საქართველოში არსებულ მომსახურებებთან. ასევე განახორციელოს საქართველოს ბაზრისათვის ახალი და პოტენციური მომსახურებების ანალიზი და მათი შეიმუშაოს მათი დანერგვის სტრატეგია

კრიტერიუმი	აღწერა
1. სექტორი	ღამით მომუშავე დაწესებულებები სექტორების მიხედვით
2. საქმიანობა	ღამით მომუშავე დაწესებულებები საქმიანობის მიხედვით
3. რაოდენობა	ღამით მომუშავე დაწესებულებები საქმიანობის რაოდენობა
4. სამუშაო საათები	რა სამუშაო საათებია ღამის მომსახურე დაწესებულებებში?
5. ინფრასტრუქტურა	რა ინფრასტრუქტურული საშუალებები არსებობს ღამის ეკონომიკის ხელშეწყობისა და განვითარებისთვის?
6. რეგულაციები	რა სახის რეგულაციები / კანონები / ლიცენიზიები არსებობს ღამის ეკონომიკის ხელშეწყობა, განვითარება, წახალისების მიზნით.
7. წილი მთლიან შიდან პროდუქტში-ში	მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების რა ნაწილს ქმნის ღამის ეკონომიკის დარგი?

2. <u>თბილისის ღამის ეკონომიკის სტრატეგიის შემუშავება</u>

2.1. ბაზრის პოტენციალის ანალიზი

თბილისისა და საზღვარგარეთის ქალაქების არსებული მდგომარეობის ანალიზის შედეგად იდენტიფიცირდება ის მაჩვენებლები, რითაც ჩვენი დედაქალაქის ღამის ეკონომიკა განსხვავდება უცხო ქვეყნებისგან. ანალიზის შედეგად მარტივად გამოვლინდება, თუ რისი პოტენციალი და შესაძლებლობები აქვს თბილისს იმისთვის, რომ ღამის ეკონომიკაში ერთ-ერთ მოწინავე ქალაქად იყოს აღიარებული.

უფრო კონკრეტულად, ბაზრის პოტენციალის ანალიზის მეშვეობით, თვალსაჩინოდ წარმოჩნდება ის განსხვავებები, რომელიც მომსახურების სფეროში გვხვდება. არსებული მდგომარეობა პირდაპირ გვაჩვენებს მომსახურების სფეროში მოქმედი უცხოური და ქართული ბიზნესების მსგავსებებსა და განსხვავებებს, რაც პრიორიტეტული და თბილისისთვის მორგებული მაგალითების გადმოტანის შესაძლებლობას მოგვცემს.

ამასთანავე, შესაძლებლობა მოგვეცემა, იდენტიფიცირება მოვახდინოთ იმ მომსახურებების, რომელსაც უცხოური ქალაქები ფლობენ, ხოლო თბილისში გარკვეული მიზეზების გამო შეინიშნება ამ კონკრეტული მომსახურეობების ნაკლებობა.

რაც შეეხება ქალაქის ღამის ეკონომიკის მარეგულირებელ ბერკეტებს, ბაზრის პოტენციალის ანალიზი თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს განსხვავებას ჩვენს ქალაქსა და სხვა ქალაქებს შორის. უცხო ქვეყნებში გატარებული ინოვაციური მიდგომები საშუალებას მოგვცემს გარკვეული რეგულაციები მოვარგოთ თბილისის ღამის ცხოვრებას. ეს რეგულაციები მოგვცემს საშუალებას აღვიქვათ, თუ რა გზით იზღუდება ან პირიქით, თავისუფლდება გარკვეული ბიზნესები თუ მომხმარებელი.

ბაზრის პოტენციალის ანალიზი განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმი	აღწერა
1. ინოვაცია	➢ არის თუ არა მსგავსი მომსახურება ინოვაციური თბილისისთვის?
2. ფინანსური სარგებელი	➢ რა ფინანსური სარგებლის მოტანა შეუძლია მსგავს მომსახურებას? ➢ რამდენ დამატების სამუშაო ადგილს შექმნის? ➢ რა იქნება საშუალო შემოსავალი თითო დასაქმებულზე?
3. მიზნობრივი ჯგუფი	➢ ვინ არის მიზნობრივი ჯგუფი? ➢ არის თუ არა მოთხოვნა ადგილობრივი ბაზრიდან? ➢ გაზრდის თუ არა ტურისტების ნაკადს?

სამიზნე ჯგუფების შესწავლით, საზღვარგარეთ აპრობირებული მაგალითების საფუძველზე, შესაძლებელი იქნება იმ ნაკლოვანებების შევსება რაც თბილისს გააჩნია მიზნობრივი ჯგუფების დაკმაყოფილების მხრივ. ანალიზის შედეგად, შესაძლებელი იქნება იმ მიდგომების გადმოტანა რაც კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე აქვთ ღამის ეკონომიკის წამყვან ქალაქებს მიმართული.

2.2. პოტენციური მომსახურების თბილისის ბაზარზე მორგების სტრატეგიის შემუშავება

ბაზრის პოტენციალის განვითარების სტრატეგიის შემუშავების ეტაპზე მოხდება ახალი მომსახურებების აღწერა. აღწერა მოიცავს დეტალურ ინფორმაციასა და არგუმენტაციას თითოეული ერთეულის თბილისისათვის შესაბამისობის შესახებ. განიხილება, როგორც ფინანსური, აგრეთვე საზოგადოებრივი შეხედულებები და კულტურული ასპექტები. ცხადია, უცხოურ პრაქტიკაში

არსებული და თბილისთან შესაბამისობაში მყოფი პრაქტიკები, შეუძლებელია ერთი ერთში გადმოვიტანოთ და დავნერგოთ. ადაპტირებისათვის გაითვალისწინება თბილისში არსებული სოციო-ეკონომიკური ფაქტორები, როგორიცაა ცხოვრების დონე, ტურიზმის სტატისტიკა და სხვა.

სტრატეგიის შემუშავებისას დეტალურად უნდა მოხდეს ანალიზი იმისა თუ რომელი შერჩეული მომსახურება, რომელ მიზნობრივ ჯგუფზე რომელ გეოგრაფიული ლოკაციაზე უნდა განხორციელდეს. აღნიშნულის ანალიზის შემდეგ შერჩეული მომსახურებების ადაპტირებისათვის მოხდება შერჩეული მათი ანალიზი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმი	აღწერა
1. ფინანსური რესურსი	➢ რა რესუსთან არის დაკავშირებული ახალი მომსახურების სფეროს შემოტანა ბაზარზე? ➢ შესაძლებელია თუ არა ხარჯის დასაფარად ფინანსური რესურსების მოძიება (Fundrising, etc.)?
2. ინფრასტრუქტურა	➢ რამდანდ არის არსებული ინფრასტრუქტურა ხელსაყრელი ახალი მომსახურების დანერგვისათვის? ➢ რა დამატებითი ინფრასტუქტურა არის საჭირო ახალი მიმართულების დასანერგად? ➢ შესაძლებელია თუ არა საჭირო ინფრასტრუქტურის შემქნა და თუ კი, რა ვადებთან და რესურსთან არის დაკავშირებული?
3. რეგულაციები	➢ რა რეგულაციები მოქმედებს აღნიშნულ მომსახურებაზე? ➢ საჭიროა თუ არა არსებული რეგულაციების ადაპტირება? ➢ საჭიროა თუ არა ახალი რეგულაციების შემოღება? ➢ რა ვადებთან / პროცედურებთან იქნება დაკავშირებული მსგავსი რეგულაციების შემოღება?
4. კომუნიკაცია	➢ რა სახით და რომელი კომუნიკაციის არხებით უნდა მოხდეს ახალ მომსახურებაზე ინფორმაციის გავრცელება? ➢ რა სიხშირით და რომელ მიზნობრივ ჯგუფს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია? ➢ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ცნობადობის ამღლების მიზნით? ➢ რა ხარჯებთან / რესურსთან არის დაკავშირებული მსგავსი ღონისძიებების გატარება?

პოტენციური მომსახურებების გაფილტვრა წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიზედვით საშუალებას იძლევა ნათლად მოხდეს იმ რესურსის, დროისა და ზოგადად შესაძლებლობის დანახვა რაც საჭიროა შერჩეული ახალი მომსახურების დანერგვისა და ღამის ეკონომიკის განვითარების მიზნით. ანალიზის შემდეგ შემუშავდება ღამის ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმა.

3. თბილისის ღამის ეკონომიკის პროექტის სამოქმედო გეგმა

სამოქმედო გეგმის შემუშავება მოხდება ძირითადი ოთხი პერსპექტივის მიღწევისათვის. კერძოდ:



პერსპექტივა	კონკრეტული მიზანი	ნაბიჯები (To Do)	ინდიკატორი
1. ფონდების მოძიება	1.1 საერთაშრისო ფონდებიდან დაფინანსების მიღება 1.2 ...	1.1.1 ფონდებისათვის პორექტის გაცნობა 1.2.1 .... 1.2.2 ...	1.1.1.1 წარმომადგენლობით ოფისებთან ჩანიშნული შეხვედრები 1.2.1.1 .... 1.2.2.1 .....
2. ინფრასტრუქტურა	.....	.....	.....
3. რეგულაცია			
4. კომუნიკაცია			

მაგალითი

თითოეული პერსპექტივა ჩაიშლება მიზნებად და მოხდება მიზნის მიღწევისათვის მინიმუმ 50 კონკრეტული ნაბიჯის დასახვა, რომლის შესრულების კონტროლისათვის შემუშავდება კონკრეტული ინდიკატორები და მათი მაჩვენებლები.

4. კომპანიის მოკლე აღწერა და პროექტის ჯგუფი

C-team Management Consulting არის ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია, რომლის საქმიანობაც ეფუძნება თანამშრომლების პროფესიონალიზმსა და **საერთაშორისო ბიზნეს სექტორში მიღებულ მრავალწლიან გამოცდილებას**;

- ჩვენს მთავარ მიზანს საქართველოში არსებული კომპანიების **მდგრადი განვითარების ხელშეწყობა** წარმოადგენს. გვაქვს საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, რომ განვახორციელებთ სისტემურ და მოგებაზე ორიენტირებულ ცვლილებებს. აღნიშნული ცვლილებები, ერთი მხრივ შესაბამისობაში იქნება კომპანიის საქმიანობის სპეციფიკასთან, ხოლო მეორე მხრივ განვითარებულ ქვეყნებში არსებულ სტარნდარტებთან.
- ჩვენ **გვაქვს ამბიცია დავაწესოთ მაღალი ევროპული სტანდარტის მომსახურების ხარისხი** საქართველოს ბაზარზე. ამისათვის მზად ვართ მთელი რესურსით ჩავებათ საქმიანობაში და ვაჩვენოთ საუკეთესო შედეგი.
- ჩვენ არ გვაქვს სტანდარტული გადაწყვეტილებები, არამედ **ინდივიდუალურად შემუშავებული და მორგებული სამოქმედო გეგმა და სტრატეგია.** აქტიურად ვმონაწილეობთ კომპანიების განვითარების პროცესში და ნებისმიერი პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში ვახდენთ მყისიერ რეაგირებას. შესაბამისად, **ჩვენ არ გვყავს კლიენტები, ჩვენ გვყავს პარტნიორები.** ვიზრდებით, ვვითარდებით და ვაღწევთ წარმატებას მათთან ერთად.

პროექტზე იმუშავებენ ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია C-Team-ის მენეჯერთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

დავით ქარდავა
C-Team-ის მმართველი პარტნიორი

დავით ქარდავამ უმაღლესი განათლება მიიღო გერმანიაში კონტროლინგისა და ფინანსური მენეჯმენტის განხრით.

დავითს აქვს მუშაობის 7 წლიანი გამოცდილება გერმანიაში ისეთ საკონსულტაციო კომპანიებში როგორებიცაა Pricewaterhauscoopers, Rödl&Partner, con|energy Unternehmensberatung, c.con Management Beratung.

საკონსულტაციო კარიერის პერიოდში იგი ხელმძღვანელობდა მრავალ პროექტს, რის ფარგლებშიც გერმანიის, შვეიცარიის და იტალიის კომპანიებს ეხმარებოდა ეფექიანი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებაში, ორგანიზაციებში საკვანძო ინდიკატორების (KPI) და რისკის მენეჯმენტის სისტემების დანერგვაში, ინოვაციური ბიზნეს მოდელების და პროდუქტების/სერვისების განვითარებაში და ბაზარზე კომპანიების წარმატებულ პოზიციონირებაში.

გერმანიაში 14 წლიანი ცხოვრებისა და წარმატებული კარიერული მოღვაწეობის შემდეგ 2016 წლის ოქტომბერში დავითი დაბრუნდა საქართველოში და პარტნიორებთან ერთად დააფუძნა c-team Management Consulting-ი. დღეისათვის დავითი ჩართულია კომპანიის სტრატეგიულ მართვასა და განვითარებაში.

სალომე არღვლიანი
C-Team-ის მმართველი პარტნიორი:

სალომე არღვლიანმა მიიღო მაგისტრის ხარისხი ბიზნეს ადმინისტრირებაში ლაიფციგის უნივერსიტეტში. საქართველოში დაამთავრა სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

სალომეს აქვს 10 წელზე მეტი პროფესიული მუშაობის გამოცდილება, საქართველოსა და გერმანიაში. იგი ხელმძღვანელობდა მრავალ პროექტს ისეთ კომპანიებში, როგორებიცაა Vodafone Deutschland GmbH (გერმანია), TÜV Rheinland AG (გერმანია), Comparex Deutschalnd AG (გერმანია), Bell flavor and fragrences (გერმანია), BDO (საქართველო)

2016 წლის ოქტომბერში სალომე დაბრუნდა საქართველოში და პარტნიორებთან ერთად დააფუძნა C-team Management Consulting-ი. დღეისათვის იგი არის კომპანიის მმართველი პარტნიორი და აქტიურად არის ჩართული, როგორც კომპანიის მართვასა და განვითარებაში.

სალომე ჩიმაკაძე,
C-Team-ის პროექტების დირექტორი

სალომე ჩიმაკაძემ მიიღო ბაკალავრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში. ამასთან არის თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ტეხასის უნივერსიტეტის მიერ სერტიფიცირებული საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი და გავლილი აქვს კონკურენტული სტრატეგიის მოკლევადიანი კურსი მიუნხენის უნივერსიტეტში.

სალომეს აქვს ანალიტიკოსად, მკვლევარად, პორტფელის მენეჯერად და რეპორტინგის მიმართულებით მუშაობის გამოცდილება კომპანიებში: Heritage Securities, Liberty Finance, Factcheck.

2017 წლის დეკემბერში, სალომე შეუერთა c-team Management Consulting-ის გუნდს. როგორც პროექტის მენეჯერი, სალომეს მოვალეობებში შედის პროექტის ზედამხედველობა, პროექტის ხარისხის უზრუნველყოფა, ფინანსური, ტექნიკური და ადამიანური რესურსების მართვა.

ელენე ჯოხაძე
C-Team-ის პროექტის სპეციალისტი

ელენემ მიიღო ბაკალავრის ხარისხი ბიზნეს ადმინისტრირებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო მაგისტრის ხარისხი ბოლონიის უნივერსიტეტში, იტალიაში.

ელენეს აქვს ფართო სამუშაო გამოცდილება სხვადასხვა პოზიციაზე როგორც საჯარო ისე კერძო სექტორში. როგორებიცაა: ბიზნეს კონსულტაციის ჰაბი (ირლანდია), სს სადაზღვეო კომპანია ალდაგი, დელტა ინთერნეიშენელი დანიის ლტოლვილთა საბჭო.

2018 წელს ელენე შეუერთდა C-team Management Consulting-ის გუნდს, როგორც ინტერნი და მალევე დაწინაურდა პროექტის სპეციალისტის თანამდებობაზე.

მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროექტის კოორდინირება, ხარისხის კონტროლი, თანამშრომელთა ჩართულობის მონიტორინგი. ელენეს ძირითად სფეროს წარმოადგენს პროექტების მართვა და ადამიანური რესურსების განვითარება.

ნათია ჭინჭარაული
C-Team-ის პროექტის მენეჯერი

ნათია ჭინჭარაულმა ბაკალავრის ხარისხი ამერიკაში, არგოსის უნივერსიტეტში, ბიზნესის ადმინისტრირების განხრით მიიღო.

ასევე ნათია გვევლინება ბიზნესის, მართვისა და ადმინისტრირების საერთაშრისო საპატიო საზოგადოება „Sigma Beta Delta International“-ის აქტიუს წევრად. ნათიას აქვს 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება ამერიკის ფინანსურ სექტორში, ისეთ წამყვან კომპანიებში, როგორებიც არის Capital One Bank, Citibank და Wells Fargo. ვაშინგტონში, Capital One Bank-ის ფილიალის მმართველობის პერიოდში, ნათია აქტიურად იყო ჩართული კომპანიის სტრატეგიის იმპლემენტაციაში.

ამერიკაში 13 წლიანი ცხოვრებისა და წარმატებული კარიერის შემდეგ, ნათია, საქართველოში აქტიურად ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტს TBC ბანკში.

2018 წლის მაისში კი, ნათია შეუერთდა C-team Management Consulting-ის გუნდს, როგორც პროექტის მენეჯერი. იგი პასუხისმგებელია პროექტის ზედამხედველობაზე, პროექტის ხარისხის უზრუნველყოფაზე, ფინანსური, ტექნიკური და ადამიანური რესურსების მართვაზე.

საერთაშორისო ექსპერტი

მინიმუმ 5 წლის საერთაშორისო გამოცდილება ღამის ეკონომიკის სტრატეგიის შექმანში.

5. პროექტის გეგმა

შესასრულებელი სამუშაოს მიწოდების ვადები

ანგარიშები	მიწოდების ვადები
საწყისი ანგარიში – კვლევის ინსტრუმენტების, მეთოდოლოგიის და სამუშაო ეტაპების და ნაბიჯების განმარტება და ანგარიში	ხელშეკრულების დადებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
ანგარიში 1 – კვლევები საბაზისო ინფორმაცია:	ხელშეკრულების დადებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში
ინფორმაცია რეგულაციებზე და არსებული კანონმდებლობა:	ხელშეკრულების დადებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში
დემოგრაფიული და ურბანული ინდიკატორები:	ხელშეკრულების დადებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში
ტურიზმის ინდიკატორები	ხელშეკრულების დადებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში
საზოგადოებრივი აზრის კვლევა	ხელშეკრულების დადებიდან 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღის განმავლობაში
ანგარიში 2 – სტრატეგია, სამოქმედო გეგმა	საზოგადოებრივი აზრის კვლევის ჩაბარებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში
შესატანი ცვლილებების ვადა	სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის ჩაბარებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში
დოკუმენტის საბოლოო სახით ჩაბარება და პრეზენტაცია	ხელშეკრულების დადებიდან 40 (ორმოცი) სამუშაო დღის განმავლობაში

6. პროექტის ბიუჯეტი

პროექტის ღირებულება შეადგენს 172`616.00 (ასსამოცდათორმეტი ათას ექვსასთექვსმეტი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.